SUSTAINABLE
ENERGY WEEK
13-17 June 2016

განცხადება

„ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“ ევროკომისიის ენერგეტიკის დირექტორატის მიერ გამოცხადებული „ევროპული მდგრადი ენერგეტიკის კვირეული, 2016“-ის ფარგლებში გეგმავს სტუდენტური კონფერენციის ჩატარებას, რომელიც მიეძღვნება მდგრადი ენერგეტიკის საკითხებს.

კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში აკრედიტირებული ნებისმიერი უმაღლესი სასწავლების ყველა იმ სტუდენტს (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის), რომელიც დაინტერესებულია მდგრადი ენერგეტიკის საინჟინრო, პოლიტიკური თუ სოციალური საკითხებით.

კონფერენციაზე წარმოდგენილი თემა უნდა განიხილავდეს საზოგადოებრივი თუ საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტურობას, ენერგოეფექტურობას მრეწველობაში; განახლებად ენერგო ტექნოლოგიებს (მზე, ქარი, გეოთერმია, ბიომასა, ნარჩენები) და მათ გამოყენებას, ეკოლოგიურად სუფთა ანდა ენერგოეფექტურ ტრანსპორტს, ენერგეტიკას, როგორც კლიმატის ცვლილების შერბილების ინსტრუმენტს და ა.შ. ნაშრომები უნდა განხილავდეს ამ საკითხების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოდაცვით ასპექტებს.

„მდგრადი ენერგეტიკის“ კონფერენციის ჩატარება დაგეგმილია 2016 წ. ივნისის მეორე ნახევარში, თარიღი, დრო და ადგილმდებარეობა დაზუსტდება მოგვიანებით.

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა ნაშრომების თეზისები უნდა გამოაგზავნონ ა.წ. 14 ივნისამდე, ელ.ფოსტით შემდეგ მისამართზე: e_gvil@eecgeo.org

თეზისების გაფორმების წესი:

- ავტორის ანდა ავტორთა ჯგუფის გვარები და სახელები; მაცი საკონტაქტო ინფორმაცია (ელ. ფოსტა, მობ. ტელეფონი);
- უნდა მიეთითოს თეზისის შესრულების დაწესებულება (უნივერსიტეტი, დეპარტამენტი), დაწესებულების (დეპარტამენტის) ხელმძღვანელი, სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი (სამეცნიერო და აკადემიური ხარისხი);
- **თეზისი უნდა მოიცავდეს: სათაური, პრობლემის აღწერა, პრობლემის გადაჭრის შეთავაზება, მთავარი შედეგები, დასკვნები;**
- თეზისის წარმოდგენა უნდა მოხდეს ელექტრონულად Word-ის ფაილით, ფორმატი A4, შრიფტი: Sylfaen, ზომა 12, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: e_gvil@eecgeo.org; ტექსტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას.

- თეზისის წარმოდგენა/გამოგზავნა შეუძლია ერთ ავტორს ანდა ავტორთა ჯგუფს სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის/ მითითებით;

კონფერენციაში მონაწილეთა შერჩევა მოხდება საორგანიზაციო კომიტეტის მიერ, წარმოდგენილი თეზისების განხილვის საფუძველზე.

კონფერენციაზე მოწვეულმა სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ:

- პრეზენტაცია PowerPoint-ში ზეპირი მოხსენებისთვის;
- რეგლამენტი: მოხსენების ხანგრძლივობა 15 წუთი, გათვალისწინებულია დამატებითი დრო შეკითხვებისთვის და დისკუსიისთვის.
- კონფერენციის სამუშაო ენა: ქართული;

კონფერენციის ყველა მონაწილე მიიღებს ევროპის მდგრადი ენერგეტიკის კვირეულში მონაწილის სერთიფიკატს და სუვენირებს.

კონფერენციაში მონაწილე სტუდენტთა თეზისები დაიბეჭდება კონფერენციის თეზისთა კრებულში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

საკონტაქტო პირი: ელენე გვილავა

ტელ. (+995) 599 287189; (+995 32) 224 25 40: 224 25 41; ფაქსი. (+995 32) 224 25 42;
ელექტრონული ფოსტა: e_gvil@eecgeo.org ;
მისამართი: თბილისი, 0160; დ. გამრეკელის ქ. #19; VI სართული;
„ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“